ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის გზამკვლევი

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2023 წელი

შინაარსი

1. რა არის ავტორიზაცია? 2

2. როგორ მოვემზადო ავტორიზაციისთვის? 4

3. როგორ შევავსო და წარმოვადგინო ავტორიზაციის განაცხადი? 6

4. რა გზა უნდა გავიარო ავტორიზაციის მიღებამდე? 7

I ეტაპი - ავტორიზაციის განაცხადის განხილვა 7

II ეტაპი - ექსპერტთა ჯგუფის შექმნა 8

III ეტაპი - ვიზიტის განხორციელება 10

IV ეტაპი - დასკვნის მომზადება 11

V ეტაპი - ავტორიზაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა და ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება 12

5. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება ავტორიზაციის პროცესში 14

6. დამატებითი ინფორმაცია 15

6.1 ინფორმაცია და კონსულტირება 16

1. რა არის ავტორიზაცია?

ავტორიზაცია არის ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა.

დაწესებულება - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებას (შემდგომ-დაწესებულება).

საჯარო დაწესებულება – დაწესებულება, რომელსაც აფუძნებს და მართავს მუნიციპალიტეტი ან მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

(იხ. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/3310237?publication=13).

თუ იურიდიულ პირს სურს განახორციელოს ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურება ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურება ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამა, ის ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია.

ავტორიზაციის მიზანია დაადგინოს, რამდენად აკმაყოფილებს იურიდიული პირი ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდებისთვის ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელებისათვის დადგენილ სტანდარტებს.

ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსს მოიპოვებს იურიდიული პირი თუ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსს, ეს დამოკიდებულია ბავშვების ასაკობრივ ჯგუფზე, რომლისთვისაც სურს მომსახურების შეთავაზება და პროგრამის სახეზე, რომელსაც შეარჩევს. ასე მაგალითად, თუ იურიდიულ პირს სურს მომსახურება მიაწოდოს 0-2 წლამდე ასაკის ბავშვებს და შერჩეული აქვს ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა, მაშინ ის ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემდეგ მიიღებს ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსს, ხოლო თუ იურიდიულ პირს სურს მომსახურება მიაწოდოს 2-6 წლამდე ასაკის ბავშვებს და შერჩეული აქვს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, მაშინ ის ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემდეგ მიიღებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსს. მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, იურიდიულ პირს უფლება ექნება მომსახურება მიაწოდოს ბავშვებს 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე. ამ შემთხვევაში ის მიიღებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსს, მაგრამ უფლება ექნება განახორციელოს მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტორიზაციის პროცესში მოწმდება რამდენად აკმაყოფილებს იურიდიული პირი ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

სტანდარტი - ეს არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს იურიდიული პირი, რათა მან შეძლოს შესაბამისი მომსახურების (ადრეული ან/და სკოლამდელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამა) მიწოდება.

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებია (შემდგომ-ავტორიზაციის სტანდარტები):

ა) დაწესებულების მისია და სტრატეგიულ განვითარება;

ბ) კურიკულუმი;

გ) ოჯახისა და თემის ჩართულობა;

დ) სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა.

ავტორიზაციის სტანდარტები

2. როგორ მოვემზადო ავტორიზაციისთვის?

ავტორიზაციის მომზადებისთვის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს იურიდიული პირის დაფუძნება.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, დაწესებულება შეიძლება დაფუძნდეს კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ამასთან, საჯარო დაწესებულება შეიძლება დაფუძნდეს მხოლოდ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

კერძო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი.

ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. შესაბამისად, ინდივიდუალური მეწარმის ფორმით დაფუძნებული დაწესებულება ვერ მოიპოვებს დაწესებულების სტატუსს და ვერ გაივლის ავტორიზაციას

(იხ.საქართველოს კანონი - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702)?publication=126, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=70)

ავტორიზაციის მომზადებისთვის მეორე ნაბიჯს წარმოადგენს ავტორიზაციის სტანდარტების გაცნობა, ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება და შესაბამისი მტკიცებულებების მოგროვება.

ავტორიზაციის მომზადებისთვის მესამე ნაბიჯს წარმოადგენს ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომ-ცენტრი).

3. როგორ შევავსო და წარმოვადგინო ავტორიზაციის განაცხადი?

ცენტრში ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენა შეგიძლიათ როგორც ელექტრონულად (ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენებით), ასევე მატერიალურად (ფიზიკურად ცენტრში მოტანით).

ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენებით ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია:

ა) დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენებით - თუ თქვენს დაწესებულებაში სარგებლობთ ასეთი სისტემით;

ბ) ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@eqe.ge -ზე ავტორიზაციის განაცხადის გამოგზავნით.

ფიზიკურად ცენტრში მოსვლის შემთხვევაში ავტორიზაციის განაცხადის შევსებული ფორმა და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოთ ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის (დისკი, ფლეშ მეხსიერების ბარათი) მეშვეობით.

ავტორიზაციის განაცხადი შევსებული უნდა იყოს დაწესებულების სატიტულო ფურცელზე და თან უნდა ერთვოდეს დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შევსებული ფორმა და თვითშეფასების ფორმით განსაზღვრული დანართები.

დაწესებულებას, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია წარმოადგინოს დამატებითი დანართებიც, რომლითაც ადასტურებს ავტორიზაციის სტანდარტების ინდიკატორის/ კრიტერიუმის/კომპონენტის შესრულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ავტორიზაციის განაცხადის ცენტრში წარმოდგენა ნიშნავს, რომ ავტორიზაციის საქმისწარმოება ოფიციალურად დაწყებულია. ავტორიზაციის მინიჭების ან ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენის დღიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში.

(დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის წესი იხ. ბმულზე https://cutt.ly/4wdhWnub.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა იხ. ბმულზე https://eqe.ge/ka/page/static/1074/formebi, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის შევსების გზამკვლევი იხ. ბმულზე https://cutt.ly/9wdhUUZX).

4. რა გზა უნდა გავიარო ავტორიზაციის მიღებამდე?

ავტორიზაციის განაცხადის ცენტრში წარმოდგენით იწყება ავტორიზაციის საქმისწარმოება. ამ დღიდან პროცესში ერთვება ცენტრი, ხოლო შემდეგ, ეტაპობრივად, ექსპერტთა ჯგუფი, მუნიციპალიტეტი (მხოლოდ საჯარო დაწესებულების შემთხვევაში) და ავტორიზაციის საბჭო.

I ეტაპი - ავტორიზაციის განაცხადის განხილვა

ცენტრი 3 სამუშაო დღის განმავლობაში განიხილავს წარმოდგენილ ავტორიზაციის განაცხადს. განხილვის მიზანია, დადგინდეს რამდენად შეესაბამება ავტორიზაციის განაცხადი ცენტრის დირექტორის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

თუ აღნიშნული განხილვის პროცესში დადგინდა ხარვეზი (მაგ: არასწორად არის შევსებული დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა, არ არის წარმოდგენილი ფორმით განსაზღვრული სავალდებულო დანართები და სხვ) ცენტრი განსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.

თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი გამოსწორდება, ცენტრი გამოსცემს ბრძანებას დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ, ხოლო თუ ამავე ვადაში ხარვეზი არ გამოსწორდება - ბრძანებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ[1].

გთხოვთ, გაითვალისწინეთ, ერთხელ დადგენილი ხარვეზის განმეორებით დახარვეზება არ ხდება. აღნიშნული ითვლება ხარვეზის გამოუსწორებლობად და ამ შემთხვევაშიც გამოიცემა ცენტრის დირექტორის ბრძანება განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

თუ თქვენ მიერ წარმოდგენილ ავტორიზაციის განაცხადს არ დაუდგინდა ხარვეზი, ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში გამოიცემა ცენტრის დირექტორის ბრძანება დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ. ხოლო თუ ხარვეზი დადგინდა და აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული იქნა ცენტრის

[1] ასეთი გარემოების დადგომისას იურიდიული პირი უფლებამოსილია ცენტრში თავიდან წარმოადგინოს ავტორიზაციის განაცხადი.

მიერ განსაზღვრულ ვადებში, ამ შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში გამოიცემა ცენტრის დირექტორის ბრძანება დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობის შესახებ.

სქემა 1. ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენა



II ეტაპი - ექსპერტთა ჯგუფის შექმნა

დაწესებულების სტატუსის მაძიებლად ცნობიდან 60 კალენდარული დღის ვადაში ცენტრი გამოსცემს ბრძანებას ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფში შედიან:

- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- კურიკულუმის ექსპერტი;
- კვების დარგში ექსპერტი;
- სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი.

აღნიშნული ბრძანება გასაცნობად ეგზავნება დაწესებულებას. შესაბამისად, დაწესებულება წინასწარ არის ინფორმირებული თუ როდის მივა მასთან ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტზე, ასევე ცნობილია იმ ექსპერტთა ვინაობა, რომლებიც შედიან ჯგუფის შემადგენლობაში.

დაწესებულებას უფლება აქვს აღნიშნული ბრძანების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში განაცხადოს ცენტრში ექსპერტთა ჯგუფის წევრის აცილების შესახებ და წარმოადგინოს შესაბამისი დასაბუთება. აცილების საფუძველი შეიძლება გახდეს ექსპერტთა ჯგუფის წევრთან/წევრებთან არსებული ინტერესთა კონფლიქტი[2]. ცენტრი განიხილავს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აცილებას 3 სამუშაო დღის ვადაში. თუ აცილება დაკმაყოფილდა, ცენტრი ექსპერტთა ჯგუფში შესაბამის ექსპერტ(ებ)ს ჩაანაცვლებს სხვა ექსპერტ(ებ)ით. თუ აცილება არ დაკმაყოფილდა, მაშინ ექსპერტთა ჯგუფი არსებული შემადგენლობით განაგრძობს მუშაობას.

სქემა 2. ექსპერტთა ჯგუფის შექმნა



[2] იხ. საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი - მუხლი 92. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=43

III ეტაპი - ვიზიტის განხორციელება

ექსპერტთა ჯგუფის ჩამოყალიბების შემდეგ ცენტრი აწვდის მათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ავტორიზაციის განაცხადს. ექსპერთა ჯგუფი სწავლობს აღნიშნულ განაცხადს და ადგენს ვიზიტის დღის წესრიგს. დღის წესრიგში გაწერილია ვიზიტის რომელ დღეს რა საკითხი შემოწმდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ. აღნიშნულ დოკუმენტს ცენტრი უგზავნის დაწესებულებას.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით გათვალისწინებულ თარიღებში დაწესებულებაში ხორციელდება ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი. იმისათვის რომ დაადგინონ დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან, ექსპერტები სწავლობენ დაწესებულების დოკუმენტაციას, ვიზუალურად ათვალიერებენ გარემოს, ატარებენ ინტერვიუს დაინტერესებულ პირებთან (მაგ.: საგანმანათლებლო პერსონალი, ტექნიკური პერსონალი, მშობელი).

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საჯარო დაწესებულებაში ვიზიტის პროცესში მიავლინოს თანამშრომელი.

დაწესებულების სტატუსის მაძიებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის განხორციელებაში, წარუდგინოს მას ავტორიზაციის მიზნებისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია და უზრუნველყოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილ პირებთან ინტერვიუირება.

ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ზეპირსიტყვიერად წარუდგენს ძირითად მიგნებებს.

სქემა 3. ვიზიტის განხორციელება



IV ეტაპი - დასკვნის მომზადება

საავტორიზაციო ვიზიტის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფი ადგენს დასკვნის პროექტს და აგზავნის ცენტრში. ცენტრი ადგენს დასკვნის პროექტს ფორმალურ შესაბამისობას დროებითი წესით დადგენილ მოთხოვნებთან და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ, უგზავნის დასკვნის პროექტს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

დაწესებულების სტატუსის მაძიებელს, დასკვნის პროექტის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, შეუძლია ცენტრს წარუდგინოს არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი უფლებამოსილია არგუმენტირებული პოზიცია გაითვალისწინოს საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას.

საბოლოოდ ჩამოყალიბებული დასკვნა ეგზავნება დაწესებულების სტატუსის მაძიებელს და მუნიციპალიტეტს (საჯარო დაწესებულების შემთხვევაში).

სქემა 4. ექსპერტთა დასკვნის მომზადება



V ეტაპი - ავტორიზაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა და ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის საბჭო. საბჭოს სხდომა საჯაროა. ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დანიშვნის შესახებ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს და მუნიციპალიტეტს (საჯარო დაწესებულების შემთხვევაში) ინფორმაცია ეგზავნება არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. დაწესებულების სტატუსის მაძიებელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში. მუნიციპალიტეტი სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე.

ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებას სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ამასთან, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ავტორიზაციის საბჭო მიღებულ გადაწყვეტილებას უცხადებს ზეპირ მოსმენაზე. ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება ოქმი, რომლის საფუძველზეც გამოიცემა ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ბრძანება ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის ცენტრის ვებგვერდზე მისი გამოქვეყნებისთანავე.

სქემა 5. ზეპირი მოსმენის გამართვა და ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება



სქემა 6. ავტორიზაციის პროცესი



5. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება ავტორიზაციის პროცესში

საჯარო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესში მუნიციპალიტეტს აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილება მინიჭებული. კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტს უფლება აქვს დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს მიავლინოს თანამშრომელი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი თავიდანვე ჩართულია პროცესში და საშუალება აქვს დააკვირდეს მის მიმდინარეობას;

ბ) მუნიციპალიტეტს ავტორიზაციის საბჭოს სამდივნოსგან ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს ავტორიზაციის საბჭოს სხდომის გამართვამდე აქვს ინფორმაცია თუ როგორია დასკვნა მის კონკრეტულ დაწესებულებასთან დაკავშირებით;

გ) მუნიციპალიტეტს ავტორიზაციის საბჭოს სამდივნოსგან ეგზავნება მოწვევა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დასწრებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი წინასწარ არის ინფორმირებული როდის მოხდება მისი დაწესებულების საკითხის განხილვა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე;

დ) მუნიციპალიტეტი მონაწილეობს საჯარო დაწესებულებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვის პროცესში და აქვს სათათბირო ხმის უფლება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელს შეუძლია ჩაერთოს საჯარო დაწესებულების საკითხის განხილვაში, წარმოადგინოს არგუმენტები ავტორიზაციის საბჭოსთან და დაიცვას საჯარო დაწესებულების ინტერესები.

6. დამატებითი ინფორმაცია

ავტორიზაციისა და ავტორიზაციაზე გადაწყვეტილება მიიღება ავტორიზაციის განაცხადის წარდგენიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში.

ავტორიზაციის ვადაა 4 წელი.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სხვა წარმოებების (პროგრამის დამატება, პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება, ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შეცვლა) შესახებ დეტალური ინფორმაცია და პროცესის სქემა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულებზე:

პროგრამის დამატება

პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შეცვლა

ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით ხშირად დასმული კითხვები იხილეთ ბმულზე:

https://eqe.ge/ka/faq/37/show

ავტორიზაციის პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტები იხილეთ ბმულზე:

- საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/3310237?publication=13
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის დადგენილება №76 „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/5727272?publication=0

6.1 დამატებითი ინფორმაცია და კონსულტირება

ცენტრის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას. ამ მიზნით, ყოველ პარასკევს 14:00 საათიდან – 16:00 საათამდე დაწესებულებას/დაწესებულების სტატუსის მაძიებელს საშუალება ეძლევა ისარგებლოს კონსულტაციით. ამისათვის საჭიროა ცენტრის ცხელ ხაზთან დაკავშირება და წინასწარი ჩაწერა - 2200 220 (*3599).

შენიშვნა: *<u>წინამდებარე ინფორმაცია მომზადებულია 2023 წლის მდგომარეობით არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.</u>*

წინამდებარე დოკუმენტი არ წარმოადგენს საკანონმდებლო ან ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს და მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციას ასრულებს.